ოქმი:ო31. 3124333001
თარიღი:28/11/2024

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის**

**ოქმი N14**

ქ. ლანჩხუთი

26. 11. 2024 წელი

**საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები გიორგი ჩახვაძე და ვერიკო კვირკველია, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე.

**მოწვეული სტუმრები:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა სამი საკითხი და მიმართა საკრებულოს წევრებს, რომ აღნიშნული საკითხები დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 18 წევრი.**

**მომხრე საკრებულოს 18 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.**

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის N25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ალექსანდრე სარიშვილი/

/თანამომხსენებელი როლანდ ლაშხია/

4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის წლიური ანგარიშის მოსმენა გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი ბესიკ ტაბიძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

8.სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:**

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 18 წევრი.**

**მომხრე საკრებულოს 18 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.**

**დღის წესრიგის პირველი საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას წარუდგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2400 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 05 აგვისტოს N1101 განკარგულებით შესული ცვლილებებით, სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ „საქართველოს 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ მუნიციპალიტეტს გამეყო 5000000 ლარი, რომელიც მიიმართება: გზების, ხიდებისა და სანიაღვრე არხების რეაბილიტაციაზე 4179419 ლარი, წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე 88802 ლარი, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ექსპლუატაცია რეაბილიტაციაზე 6818 ლარი, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების რეაბილიტაცია ექსპლუატაციაზე 725777 ლარი, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული არასაცხოვრებელი შენობის რეაბილიტაციის დაფინანსება შემცირდეს 816 ლარით. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N 2402 განკარგულებით მიმდინარე წლის 03 ოქტომბრის საქართველოს მთავრობის N1403 განკარგულებით შესული ცვლილებების შედეგად ქ.ლანჩხუთში ბაგრატიონის, ბესიკის, გოგიჩაიშვილის, ებრალიძის, თამარ მეფის (პირველი ეტაპი) რ.ებრალიძის, საფო მგელაძის და ხოფერიას ქუჩების რეაბილიტაციის სამუშაოების დაფინანსება გაიზარდა 144424 ლარით და განისაზღვრა 3650241 ლარი. აქედან, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 3467728 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტით 182513 ლარი. საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 23 ივლისის N1025 განკარგულებით მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 298249 ლარი მიიმართოს გზების მოვლითი ღონისძიებების დაფინანსებაზე. მიმდინარე წლის ბიუჯეტის 10 თვის შესრულების ანალიზის შედეგად მიზანშეწონილია განხორციელდეს კორექტირება ისეთი ღონისძიებების რომელთა შესრულება ვერ განხორციელდება წლის დარჩენილ პერიოდისათვის, კერძოდ; წყლის სისტემის რეაბილიტაცია შემცირდეს (ტენდერი ვერ შედგა) 230000 ლარით, სოფლის მხარდაჭერის თანადაფინანსება 41950 ლარით, ოჯახების სოციალურ ეკონომიკური მხარდაჭერის პროგრამა 100000 ლარით, გარე განათების მოხმარებული ელექტროენერგიის დაფინანსების ხარჯი 65000 ლარით, გარე განათების არაფინანსური აქტივების მუხლი 5000 ლარით, გზების მიმდინარე შეკეთების ხარჯები 50000 ლარით, წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის მუხლი 20000 ლარით, ასევე შემცირდეს მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურებების ხარჯი 20000 ლარით. ამასთან, საბიუჯეტო დაწესებულებებიდან შემოსული წინადადებების გათვალისწინებით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა შემცირდეს 28000 ლარით, იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა 800 ლარით, შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა 10500 ლარით, ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა 3500 ლარით, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობის პროგრამის 2000 ლარით, სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დახმარების პროგრამა 2000 ლარით, აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა 900 ლარით, ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა 3000 ლარით. აღნიშნული შემცირებების ხარჯზე გაიზარდოს ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა 590 ლარით, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებით თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა 2300 ლარით, ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა 5000 ლარით, მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა 1500 ლარით, სამკურნალო საოპერაციო ხარჯების დახმარების პროგრამა 16110 ლარით, ამასთან აღნიშნული პროგრამის დაფინანსება დამატებით გაიზარადოს 70000 ლარით. განათლების ხელშეწყობის პროგრამის სხვა ხარჯების მუხლი გაიზარდოს 2530 ლარით, კულტურის ხელშეწყობის პროგრამის სხვა

ხარჯების მუხლი 3000 ლარით, ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამის სუბსიდიის მუხლი 2970 ლარით, გრანტის მუხლი 1500 ლარით. ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების დაფინანსება გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მუხლი 5000 ლარით, სხვა ხარჯების მუხლის 900 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მუხლი 900 ლარით. ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დაფინანსება გაიზარდოს 55000 ლარით საქონელი და მომსახურების მუხლი. მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქონელი და მომსახურების მუხლი გაიზარდოს 1500 ლარით, სოც:უზრუნველყოფის მუხლის 1400 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სხვა ხარჯების მუხლი 1400 ლარით მუნიციპალიტეტის მერიის საქონელი და მომსახურების მუხლი გაიზარადოს 25000 ლარით, ხოლო შრომის ანაზღაურების მუხლის 16000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლი 16000 ლარით. ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის შტატით მომუშავეთა ანაზღაურების მუხლის 150000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 142000 ლარით და საქონელი და მომსახურების მუხლი 8000 ლარით. ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის არაფინანსური აქტივების მუხლის 1927 გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მუხლი 1927 ლარით. შემცირდეს შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლის გეგმა 141167 ლარით, არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავალი შემცირდეს 224283 ლარით, ასევე განხორციელდეს სხვა შემოსავლების ცალკეულ სახეებში შიდა კორექტირება.

საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 26 აგვისტოს N1211 განკარგულებით მუნიციპალიტეტს გამოეყო კაპიტალური გრანტი 160000 ლარი, რომელიც უნდა აისახოს ბიუჯეტში, რის შესაბამისად უნდა შემცირდეს არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავალი (გაყიდვა) ნაცვლად 224283 ლარისა 384283

ლარი. ასევე უნდა გაიზარდოს მოსწავლეთა ტრანსპორტირების დაფინანსება 5000 ლარი.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 18 წევრი.**

**მომხრე საკრებულოს 18 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.**

**მიღებულ იქნა დადგენილება N15(26.11.2024).**

**დღის წესრიგის მეორე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის N25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა**. მან განმარტა, რომ საკრებულოს განკარგულების ცვლილების პროექტი, მომზადდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, სადაც მიზანშეწონილად არის მიჩნეული, რომ საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხიდან და გეგმიდან ამოღებულ იქნას, მერიის აუქციონატორის მიერ, 27.06.52.438 და 27.06.53.309 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული პრივატიზებული უძრავი ქონება. ასევე მიზანშეწონილია, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 6 ნოემბრის N007694324 და N007693624 დასკვნებით შეფასებული - (ს/კ 27.15.47.696) და (ს/კ 27.15.41.394) საკადასტრო კოდებზე არსებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, შემდგომში განკარგვის მიზნით, აისახოს მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და გეგმაში.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 18 წევრი.**

**მომხრე საკრებულოს 18 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.**

**მიღებულ იქნა განკარგულება N52(26.11.2024).**

**დღის წესრიგის მესამე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა.** მან განმარტა, რომ 2025 წლის ბიუჯეტის პირველი ვერსია წარმოდგენილი იყო საკრებულოში, განხილული იქნა კომისიებსა და ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მიერ და შენიშვნებით დაბრუნდა უკან. წარმოდგენილ ბიუჯეტში ბევრი ახალი პროექტია ჩადებული, მათ შორის არის კაპიტალური(სპორტული და საგზაო ინფრასტრუქტურა) პროექტები, ამიტომ კიდევ ერთხელ, გულდასმით იქნება გავლილი თითოეული პუნქტი და შესაძლებლობის ფარგლებში გათვალისწინებული შენიშვნებით, 10 დეკემბრამდე დაბრუნდება საკრებულოში განსახილველად.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 18 წევრი.**

**მომხრე საკრებულოს 18 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.**

**მიღებულ იქნა განკარგულება N53(26.11.2024).**

**დღის წესრიგის მეოთხე საკითხი:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის წლიური ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ სხდომას წარუდგინა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ.** მან განმარტა, რომ საკრებულოს მუშაობა და მისი უფლებამოსილებები განსაზღვრულია საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“. კანონით განსაზღვრული ვალდებულების გარდა, მისი, როგორც საკრებულოს თავმჯდომარის ინტერესია, საანგარიშო პერიოდში საკრებულოს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ დეტალური ანგარიშის წარდგენა.

მისი თქმით, საკრებულოს თავმჯდომარესა და მერს შორის ჩამოყალიბდა მეგობრული, საქმიანი, კოლეგიალური ურთიერთობა.

ისინი ერთიანი ძალებით ცდილობენ მუნიციპალიტეტის თითოეული მოქალაქის პრობლემის მოსაგვარებლად ქმედითი ღონისძიებების გატარებას. ასევე, კოლეგიური ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ მერიის შესაბამის სამსახურებს და დარგობრივ კომისიებს. თითოეული საკითხი მუშავდება და ერთობლივად ხდება შესაბამისი პრობლემის მოსაგვარებლად გამოსავლის მიება.

ის, როგორც საკრებულოს თავმჯდომარე, თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში ახდენდა მოქალაქეთა მიღებას. მომართვიანობა ძირითადად სოციალური და ინფრასტრუქტურული პრობლემების მიმართულებით ჭარბობდა. შესაძლებლობების ფარგლებში ადგილზე ხდებოდა დახმარების გაწევა, ასევე, მოქალაქეთა ინფორმირებულობა ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით.

მას საკრებულოს თავმჯდომარის ფუნქცია-მოვალეობის შესრულება მეორე ვადით მოუწია, რაც მისთვის დიდ პატივთან ერთად, უდიდესი პასუხისმგებლობაცაა. საანგარიშო პერიოდში ჰქონდა არაერთი შეხვედრა, როგორც ადგილობრივ, ისე სამთავრობო დონეზე. ცდილობდა, რომ ის სიკეთეები, რომელიც შეიძლება მიიღოს მუნიციპალიტეტმა, მაქსიმალურად ყოფილიყო მოძიებული და ასახული მუნიციპალიტეტის რეალობაში - ამის ნათელი დადასტურებაა მშენებარე სკოლები, ბაღები თუ გზები. წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან, ყველაზე მაღალ ნიშნულზე ავიდა და ყოველწლიურად იზრდება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანები ცხოვრობენ. საანგარიშო პერიოდში აქტიური კომუნიკაცია ჰქონდა რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებთან, რამდენჯერმე შეხვდა მათ და გაეცნო მათ საჭიროებებს.

რაც შეეხება უშუალოდ საკრებულოს, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს მუშაობას, აღსანიშნავია, რომ მისი მუშაობის ორგანიზების მიზნით შექმნილია საკრებულოს ბიურო, რომელიც შედგება 12 წევრისგან. ხოლო, საკრებულოში საკითხის წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისთვის ხელის შეწყობის, მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით, შექმნილია საკრებულოს კომისიები.

დღესდღეობით საკრებულოში მუშაობს შემდეგი მუდმივმოქმედი კომისიები:

1. იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია - თავმჯდომარე გიორგი ხელაძე;

2. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია - თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე;

3. ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია - თავმჯდომარე ზაზა წულაძე;

4. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია - თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი;

5. სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია - თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი.

საანგარიშო პერიოდში გაიმართა:

> საკრებულოს - 13 (მათ შორის 3 რიგგარეშე), ხოლო ბიუროს - 11 სხდომა;

> იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის - 9 სხდომა;

> საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის - 8 სხდომა;

> ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის - 14 სხდომა;

> სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის - 10 სხდომა;

> სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის - 10 სხდომა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, გარდა კომისიებისა, დაფუძნებულია ასევე ფრაქციები, რომლებიც წარმოადგენენ საერთო პოლიტიკური შეხედულების მქონე საკრებულოს წევრთა ნებაყოფლობით გაერთიანებას. ისინი ჩართულნი არიან სხვადასხვა პროექტის განხილვაში.

საკრებულოში მოქმედებს სამი ფრაქცია. ესენია:

1.„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, სადაც საკრებულოს 18 წევრია გაერთიანებული (1. ია მოქია - თავმჯდომარე, 2. ვლადიმერ ნანაძე - მოადგილე, 3. ნინო მშვიდობაძე - მოადგილე, 4. ლოლიტა ურუშაძე - მოადგილე, 5. კარლო წილოსანი მოადგილე, 6. სპარტაკ კვაჭაძე - მოადგილე, 7. გოგი მორჩილაძე - მოადგილე, 8. ბესიკ ტაბიძე, 9. ემზარ თევდორაძე, 10. გიორგი ჩახვაძე, 11. ვერიკო კვირკველია, 12. კარლო კვიტაიშვილი, 13. გიორგი ხელაძე, 14. ზაზა წულაძე, 15. ელისო ჭიჭინაძე, 16. რევაზ კვერენჩხილაძე, 17. კახა თედორაძე, 18. გიორგი იმნაიშვილი.

2. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, სადაც 4 დეპუტატია (1. კახაბერ ასკურავა - თავმჯდომარე, 2. გიორგი გოგუაძე - მოადგილე, 3. ირმა მგელაძე, 4. გივი ცინცაძე);

3.„ლანჩხუთი - საქართველოსთვის“ - 3 წევრით (1. მაკა მშვიდობაძე - თავმჯდომარე, 2. გოჩა ჯანაშია - მოადგილე, 3. ჯუმბერ ბლაგიძე).

2 დეპუტატი კი არც ერთ ფრაქციაში არ არის გაწევრიანებული (ალექსანდრე მახათაძე, დარეჯან ბურჭულაძე).

საანგარიშო პერიოდში გაიმართა:

ფრაქცია - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ - 13 სხდომა:

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ - 6 სხდომა:

ფრაქცია „ლანჩხუთი - საქართველოსთვის“ - 6 სხდომა.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები და გრძელდება დღესაც (სტიქია, რომელიც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს 2023 წლის 8 სექტემბერს დაატყდა. ასეულობით ოჯახი დაიმეწყრა და მათ საცხოვრებელ სახლებს შეექმნა საფრთხე. სამწუხაროდ იყო მსხვერპლი).

ადგილობრივი ხელისუფლების მყისიერი მოქმედების შედეგად, დროულად მოხდა ადამიანების გამოყვანა სტიქიის ზონიდან და უსაფრთხო ადგილზე დაბინავება.

ცენტრალური ხელისუფლების აქტიური მხარდაჭერით და დახმარებით - არც ერთი ოჯახი

არ დარჩენილა და არ დარჩება უყურადღებოდ.

ყველა ოჯახს, სადაც ცხოვრება შეუძლებელი იყო და მას არ გააჩნდა ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი - გაეწია ფულადი დახმარება 50 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო ვისაც სხვა ალტერნატიული ფართი ჰქონდა - 30 ათასი ლარი.

დაწყებულია სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული გზების, ხიდების, სანიაღვრე არხების და ნაპირსამაგრების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები. პროექტი გარდამავალია და ჯამში 24 მილიონი ლარი დაიხარჯება.

საკრებულო, როგორც წარმომადგენლობითი ორგანო, უზრუნველყოფს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შემუშავებას, განხილვასა და მიღებას.

ანგარიშის ფარგლებში, აღნიშვნის ღირსია რიგი ნორმატიული აქტები, რომელიც წარმოადგენს წინ გადადგმულ ნაბიჯს და მათი შემუშავება დადებითად აისახება მუნიციპალიტეტის მოსახლეობაზე.

იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ განხილული იქნა მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფების წინადადებები.

როგორც ცნობილია, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანიზებისა და მისი იდენტურობის განსაზღვრის საკითხებში, საკრებულოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან უფლებამოსილებას წარმოადგენს გეოგრაფიული ობიექტების სახელდება, ხოლო სსიპ საჯარო სკოლისთვის სახელის მინიჭების კუთხით - თანხმობის გაცემა.

როგორც გასულ წლებში, საანგარიშო პერიოდში საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია აქტიურად მუშაობდა.

კომისიის თავმჯდომარის, გიორგი ხელაძის ინიციატივით, კომისიის წევრები სუფსის თემის სოფელ გრიგოლეთის მაცხოვრებლებს შეხვდა.

შეხვედრაზე, რომელსაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები და ადგილობრივი მოსახლეობა ესწრებოდა სოფელ გრიგოლეთში მე-2 და მე-6 ქუჩებისთვის ნოდარ დუმბაძის სახელის მინიჭების შესახებ ისაუბრეს.

კომისიამ ასევე გასვლითი შეხვედრა გამართა, მოქალაქეთა მომართვის საფუძველზე, რომელიც ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ქუჩისთვის წმინდა ბარბარეს სახელის მინიჭებას ეხებოდა. საკითხი დადებითად გადაწყდა.

- რაც შეეხება საფინანსო-საბიუჯეტო სფეროს:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებით მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილში განისაზღვრა 20392300 ლარი, აქედან საკუთარი შემოსავლები 19808700 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული გრანტები 583600 ლარი, გადასახდელები განისაზღვრა 22483900 ლარი, აქედან ხარჯები 18115300 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა 4310500 ლარი.

მიმდინარე წლის 1-ელი ნოემბრის მდგომარეობით ბიუჯეტში შევიდა ცვლილება 3-ჯერ და განისაზღვრა შემოსულობების ნაწილში 31364700 ლარი, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გრანტები 10918300 ლარი; გადასახდელები განისაზღვრა 37835700 ლარი, აქედან ხარჯები 21325500 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა 16452200 ლარი, ვალდებულებების კლება (ვალის გადახდა) 58100 ლარი.

მიმდინარე წლის მობილიზებულია 28306707 ლარი, აქედან შემოსავლები კაპიტალურის ჩათვლით 15995169 ლარი, გრანტები 12311538 ლარი.

რაც შეეხება მომავალი, 2025 წლის ბიუჯეტს, ის პირველი ვარიანტით განსაზღვრულია - 32018300 ლარით.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ კანონით განსაზღვრულ ვადაში მოხდა 2025 წლის ბიუჯეტის მერიიდან შემოსული პირველი ვარიანტის განხილვა და შენიშვნებით უკან გადაგზავნა.

ბიუჯეტის საბოლოო ვერსიაზე მიმდინარეობს მუშაობა და კანონით განსაზღვრულ ვადაში მოხდება მისი განხილვა-დამტკიცება.

მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის სფეროს კუთხით ეკონომიკის, ქონებისა მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის მიერ შესწავლილი იქნა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტები.

ასევე, კომისიის მიერ შესწავლილი იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული საპრივატიზაციო გეგმასა და ნუსხაში შესატანი

ქონებები.

კომისიის მიერ შესწავლილი და განხილული იქნა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

კომისიის მიერ, ასევე შესწავლილი და განხილული იქნა „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ასევე, კომისიამ განიხილა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(იპ) „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისთვის" (ს/ნ 402157330) პირდაპირი განკარგვის წესით, ორი წლის ვადით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი. ასევე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(იპ) „,ოდა ქეარისთვის"(ს/ნ პირდაპირი განკარგვის წესით, ორი წლის ვადით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ასევე კომისიის მიერ შესწავლილი და განხილული იქნა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის მიზნით, განკარგვაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტები.

კომისიის მიერ რეკომენდაცია მიეცა მერიის შესაბამის სამსახურებს, რათა მიემართათ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზღვრებში არსებული უსახური ქონებები, რომლებიც აუშნოებს და ამახინჯებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იერსახეს, ასევე, საფრთხის შემცველია მოსახლეობისთვის და იმყოფება შესაბამისი სამინისტროს ბალანსზე, საბოლოოდ მომხდარიყო მათი პრივატიზება ან გადმოცემა მუნიციპალიტეტისთვის.

ეს და სხვა გადაწყვეტილებები კომისიის მიერ ასახულია ოქმებში და გამოქვეყნებულია კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

- სოციალურ საკითხთა, განათლების კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ განხილულ იქნა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ" 23 პროგრამა.

ასევე აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მიმდინარე წელს 23 სოციალური პროგრამა ფინანსდება 968 800 ლარით.

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება, როგორც მზრუნველობა მოკლებული ბენეფიციარების კვების უზრუნველყოფა და სოციალურად დაუცველი ბავშვების ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია; ხორციელდება მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების, უსახლკარო ოჯახების ქირავნობის პროგრამაში ჩართვა. ამასთან, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ქრონიკული დაავადების მატარებელ ბენეფიციარებს. ასევე, მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებს.

მუნიციპალიტეტში მუშაობს შემდეგი სოციალური პროგრამა:

1. მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა - 148 700 ლარით.

2. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა - 40 000 ლარით.

3. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა - 80 000 ლარით.

4. ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა - 57 000 ლარით.

5. სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა - 14 000 ლარით.

6. ცენტრ ,,იავნანას" თანადაფინანსების პროგრამა; პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა - 15 800 ლარით.

7. ბიკარბონატული ჰემოდიალეზით - თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა - 16 000 ლარით.

8. იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა - 15 300 ლარით.

9. სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა - 160 000 ლარით.

10. ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა - 30 000 ლარით.

11. მძიმე საცხოვრებელ პირობებში უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა - 50 000 ლარით.

12. უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა - 2 500 ლარით.

13. ლანჩხუთის რეგიონული ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის" ონკო პაციენტთა მხარდაჭერის, რეაბილიტაციის და ფარისებრი ჯირკვლის კიბოს სკრინინგისა და დროული გამოვლენის პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა - 55 000 ლარით.

14. ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა - 4 500 ლარით.

15. შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა - 20 000 ლარით.

16. ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა - 100 000 ლარით.

17. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა. პროგრამის ბიუჯეტია - 3 000 ლარი.

18. სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტია - 7 000 ლარი.

19. მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტია - 3 000 ლარი.

20. 0-დან 18 წლამდე დედ-მამით ობოლ ბავშვებს და შშმ ბავშვებს რომელიც არის ობოლი ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა - 3 200 ლარი.

21. ცელიაკიით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტია - 10 800 ლარი.

22. აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტია - 93 000 ლარი.

23. რისკის ქვეშ მყოფი 0-დან 18 წლამდე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტია - 40 000 ლარი.

წელს სსიპ „დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო უზრუნველყოფის სააგენტოს" მიერ „უსახლკარო, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი მრავალშვილიანი ოჯახების დაკმაყოფილების შესახებ" ბრძანების შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 9 ოჯახი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილდა.

სოციალური კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია ლანჩხუთში ძუძუს კიბოს სკრინინგის ცენტრის შექმნა, რომელიც თანამედროვე, ძვირადღირებული აპარატურით არის აღჭურვილი. ცენტრი შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულშია განთავსებული და ემსახურება პაციენტებს, სადაც არაერთმა ადამიანმა ჩაიტარა კვლევა.

წელს ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის შეძენილი იქნა 5 ახალი ავტობუსი, რომელიც მგზავრთა უსაფრთხო გადაყვანას ემსახურება. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საზოგადოებრივი ტრანსპორტი 21 მგზავრზეა გათვლილი და ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე.

ცალკე აღსანიშნავია, რომ ლანჩხუთში ფუნქციონირებს 150 სტუდენტზე გათვლილი მულტიპროფილური კოლეჯი, რომელიც ოზურგეთის კოლეჯის „ჰორიზონტი" სასწავლო ბაზა გახლავთ, რაც სოციალური კუთხით ძალიან კარგი და მისასალმებელი მოვლენაა. კოლეჯში პროფესიული განათლების მსურველები შეძლებენ ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, ინჟინერიის, განათლებისა და მომსახურების სფეროს პროფესიების დაუფლებას.

აქტუალობიდან გამომდინარე, ის შეეხო მუნიციპალიტეტში განხორციელებულ და განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებს.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია და მისი წევრები საანგარიშო პერიოდში მონაწილეობდნენ პროექტების შერჩევასა და

განხორციელებაში, რაშიც თავის მხრივ განსაკუთრებით აქტიურად იყვნენ ჩართულები მაჟორიტარი დეპუტატები. ცალკე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წელს ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის გაცილებით მეტი თანხებია გათვალისწინებული, ვიდრე გასულ წლებში.

რეგიონული განვითარების ფონდის მიერ ჯამში 7 836 573 ლარი იხარჯება, რაც ბოლო წლებში ყველაზე დიდი თანხაა და გასულ წლის მაჩვენებელს საკმაოდ აღემატება.

ეს თანხები განაწილებულია შემდეგ პროექტებზე:

ქალაქ ლანჩხუთში გურიელის, ნინოშვილის, ურუშაძის და ყაზბეგის ქუჩების რეაბილიტაცია - 1 157 895 ლარი.

ჩოჩხათი-არჩეულის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - 1 259 199 ლარი.

ქალაქ ლანჩხუთში ბაგრატიონის, ბესიკის, გოგებაშვილი, ებრალიძის, თამარ მეფის (პირველი ეტაპი), რ. ებრალიძის, საფო მგელაძის, ჩაჩავას და ხოფერიას ქუჩების რეაბილიტაცია - 3 505 817 ლარი.

აღსანიშნავია, რომ გაკეთებული ეკონომიების ხარჯზე, შესაძლებელი გახდა, მიმდებარე ქუჩების რეაბილიტაციაც. წელს საერთო ჯამში, ქალაქის მასშტაბით 18 ქუჩის ასფალტირება მოხდა, რაც ლანჩხუთის ბოლო ათწლეულების ისტორიაში პირველად განხორციელდა.

ქალაქ ლანჩხუთში სპორტული დარბაზის მშენებლობა - 849 238 ლარი, პროექტი გარდამავალია და ჯამში აღნიშნულ სამუშაოებზე 2 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება.

ჯურუყვეთის ცენტრალური გზისა და ლესის გზის რეაბილიტაცია - 250 000 ლარი.

მოედანი-შრომისუბნის გზის რეაბილიტაცია - 250 000 ლარი.

გვიმბალაურის, ნინოშვილსა და აცანის ადმინისტრაციულ ერთეულებში მინი სტადიონების მშენებლობა - 420 000 ლარი.

აშენდა ახალი ბაღები აკეთის, ნიგვზიანის, ჩოჩხათის, ნინოშვილი და ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

სრულდება საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ აკეთის, ჯურუყვეთის, ღრმაღელის და ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია.

დასრულების ფაზაშია ჩოჩხათის, ნიგვზიანის, ჯურუყვეთის და ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულებში გაზმომარაგების სამუშაოები. ჩვენი მუნიციპალიტეტის ყველა სოფელი იქნება ბუნებრივი აირით უზრუნველყოფილი, რაც ძალიან მისასალმებელი ფაქტია.

